პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 70 (3047) 10 აპრილი, კვირა. 1966 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

**დღეს** კიევში, ტაშკენტში, ალმა-ათაში, ბაქოში, ერევანში, ოდესაში, დონეცკში, თბილისსა და ქუთაისში აღიმართება სსრ კავშირის XXVIII საფეხბურთო ჩემპიონატის ალამი.





უსიტყვოდ...

ნახ. ა. ერაძისა.

# დაიწყო...

დღეს იწყება სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში. ყველა მონაწილე გუნდი გამოსულია სტარტზე და უცდის არბიტრის სასტვენს, რათა შეუდგეს მძიმე ბრძოლას ოქროს მედლების მოსაპოვებლად.

შარშანდლისგან განსხვავებით, წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობს 19 გუნდი. უძლიერესთა ლიგას შეუერთდნენ ერევნის „არარატი" და ალმა-ათის „კაირატი". მაგრამ ძნელად, რომ მათ ახალბედები უწოდო. ორივე გუნდს ადრე უთამაშია I ჯგუფში.

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ აგვისტომდე ჩვენი უძლიერესი გუნდები თავიანთ საუკეთესო მოთამაშეთა გარეშე გამოვლენ საკავშირო ტურნირის მატჩებში, რაც საგრძნობლად ათანაბრებს მონაწილეთა ძალებს. ეს ნათლად ჩანს თუნდაც თბილისის „დინამოს" მაგალითზე. ამ გუნდს დააკლდებიან ს. მეტრეველი, მ. მესხი, გ. სიჭინავა და, ალბათ, მ. ხურცილავაც. რაც შეეხება ქუთაისის „ტორპედოს", იგი სტარტზე გამოვა მთელი თავისი შემადგენლობით. ამიტომ საკითხავია: ამ ვითარებაში რომელი უფრო ძლიერად გამოიყურება? ძნელი სათქმელია. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ქუთაისელები საგაზაფხულო მატჩებში ძალიან ღონივრად გამოიყურებოდნენ და მთელ რიგ მნიშვნელოვან გამარჯვებებსაც მიაღწიეს. მათს რიგებში არიან ისეთი კლასის ნახევარმცველი, როგორიცაა ს. კუტივაძე, სწრაფი, აგრესიული ფორვარდი დ. ვეკუა და სხვანი.

რა თქმა უნდა, ანალოგიური მდგომარეობაა სხვა კლუბებშიც. კიევის „დინამოს" არ ეყოლება ვ. ხმელნიცკი, ვ. სერებრიანიკოვი, ი. საბო, ვ. ბანიკოვი, მოსკოვის „ტორპედოს" — ა. კავაზაშვილი, ვ. ივანოვი, ვ. ვორონინი, მოსკოვის „სპარტაკს" — გ. ხუსაინოვი, ხ. უსატორე, ვ. პონედელნიკი, როსტოვის არმიელთა გუნდს — ვ. აფონინი, ვ. გეტმანოვი, ო. კოპაევი და ა. შ. რასაკვირველია, შანსების ასეთი გათანაბრება დიდ პერსპექტივებს უქმნის იმ კოლექტივებს, რომლებსაც საშუალება აქვთ თავიანთი სრული შემადგენლობებით ითამაშონ.

ყოველივე ზემოთქმული გარკვეულ ინტერესს მატებს გათამაშებას და იმედი ქულების იოლ შოვნაზე ნაკლები იქნება. საბჭოთა ფეხბურთის ლიდერებს, მათ შორის, თბილისის „დინამოსაც", ძალების მაქსიმალური დაძაბვა მართებთ.

წლევანდელი სეზონი — მსოფლიო ჩემპიონატის სეზონია. რას მოიტანს იგი? შეიძლება გამოჩნდეს ახალი სისტემა, ან ბრაზილიურმა იცვალოს სახე. მაგრამ როგორც უნდა იყოს, საბჭოთა ფეხბურთი ვალდებულია შეინარჩუნოს თავისი მთავარი პრინციპი — შეტევის სტილი.

ბევრი ჩვენი გუნდი მეტისმეტ ყურადღებას უთმობს საკუთარი კარის დაცვას და ნაკლებად ფიქრობს მეტოქის ციხე-სიმაგრის აღებაზე. ამის გამოა, რომ საჯარიმო მოედანზე ხშირად ვხედავთ მცველთა დიდ თავშეყრას და თავდამსხმელებს უჭირთ მაღალი შედეგიანობის ჩვენება. ასეთი ტაქტიკა აფუჭებს ნამდვილ ფორვარდებს და მცველთა ინიციატივასაც ზღუდავს. ბევრი ზიანი მიაყენეს შესანიშნავ გარემარბს მ. მესხს იმ მწვრთნელებმა, რომლებიც მისგან მოითხოვდნენ დახევას თავისი საჯარიმო მოედნისკენ, ისინი მოითხოვდნენ, რომ მესხს ეთამაშა თავდასხმაშიც და დაცვაშიც, მაშინ, როცა ამ ფეხბურთელის მთელი ღირსება მდგომარეობს დრიბლინგში, ფინტებში, სისწრაფეში, შეტევაში. მესხს შეუძლია შექმნას ისეთი შეტევა, როგორიც სხვებს არ ძალუძთ.

მე შემთხვევით არ დამიწყია ლაპარაკი ამ საკითხზე დაცვითი ტენდენციები მეტისმეტად „ხიბლავს" მწვრთნელებს, ეს კი ხელს უშლის საბჭოთა ფეხბურთის პროგრესს. მინდა ეს მოკლე საუბარი დავამთავრო იმით, რომ მხოლოდ მეტოქის კარში შეიძლება იპოვო გამარჯვება, ხოლო საკუთარში — გაშვებული ბურთები.

მ. მერჟანოვი,
„ფუტბოლის" რედაქტორი.

# გუშინ...

პეტროსიანი სპასკი

მოსკოვი 1966

**მოსკოვის** ესტრადის თეატრში გაიხსნა ტ. პეტროსიან — ბ. სპასკის მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მოხდა კენჭის ყრა: მატჩის I პარტიას, რომელიც 11 აპრილს შედგება, თეთრებით ითამაშებს ბ. სპასკი.

• • •

პეტროსიან — სპასკის მატჩის დღეებში თბილისის ცენტრალური საჭადრაკო კლუბი აწყობს ორთაბრძოლის პარტიების დემონსტრაციას ძერჟინსკის სახელობის კლუბსა (ზესიკის ქ. № 4) და შაუმიანის სახელობის სომხური დრამატიული თეატრის (შაუმიანის ქ. № 8) შენობაში — ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკეობით 21 საათიდან 23 საათამდე. გადადებული პარტიების დემონსტრაცია მოხდება ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში 20 საათიდან.

# საათი!

◆ **ვენა, 9 აპრილი.** მსოფლიოს ახალგაზრდა მოფარიკავეთა ჩემპიონატში გამარჯვებათა სია გახსნა რუმინელმა რაპირისტმა ს. ვეისბოხმა. II ადგილზე გავიდა უნგრელი მ. ბერკოვიჩი. საბჭოთა მოფარიკავეები ა. ლიტოვი და გ. გრიგორიანი შესაბამისად V და VI ადგილებით დაკმაყოფილდნენ. შეჯიბრებაში მონაწილეობენ 20 ქვეყნის 19-20 წლის ახალგაზრდები. წინ ქალიშვილთა ორთაბრძოლებია და დაშნითა და ესპადრონით ასპარეზობა.

# ახალი ამბები

● **სარაევო, 8 აპრილი.** დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 11-11 ქულით I-II ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა ტალმა (სსრ კავშირი) და ჩირიჩმა (იუგოსლავია). III-IV ადგილებზე არიან დიდოსტატები ივკოვი (იუგოსლავია) და პახმანი (ჩეხოსლოვაკია) — 10-10. მეორე საბჭოთა დიდოსტატმა კოტოვმა 7,5 ქულა მოაგროვა და ჩეხოსლოვაკიელ დიდოსტატ იანსასთან ერთად IX-X ადგილები გაიყო.

# წინაა ა. ბუსლაევისა და რ. ჯინჯიხაშვილის მატჩი

საქართველოს ვაჟთა XXVII საჭადრაკო ჩემპიონატის დასკვნით, XVII ტურში ლიდერებმა კვლავ წარმატებით ითამაშეს. ჯინჯიხაშვილმა მოუგო ალექსანდრიას, ხოლო ბუსლაევმა — ჩხაიძეს. გიორგაძე ყაიმით დაკმაყოფილდა ბოკუჩავასთან შეხვედრაში, ლომაიამ დაამარცხა რაზოვსკი, ხოლო უბილავამ — ჩეჩელიანი. ყაიმით დასრულდა მუკნიაშვილი—ჩიქოვანის, ჩაგუნავა — თოხაძისა და გვენცაძე — დავითაშვილის შეხვედრები. გურგენიძემ უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია კერნოჟიცკისთან.

ამრიგად, ჩემპიონატში I-II ადგილები გაიყვეს ოსტატებმა ა. ბუსლაევმა და რ. ჯინჯიხაშვილმა — 15-15 ქულა. ჩემპიონის ვინაობის გამოსავლენად უახლოეს 10 დღეში მოეწყობა ბუსლაევ — ჯინჯიხაშვილის მატჩი, რომელშიც 6 პარტია გათამაშდება. ორივე მოჭადრაკემ მოიპოვა სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაშის უფლება.

ჯერჯერობით III ადგილზეა თ. გიორგაძე (12 ქულა). გადადებული პარტიის მოგების შემთხვევაში მას დაეწევა ბ. გურგენიძე, რომელსაც ახლა 11 ქულა აქვს.

ზემოდასახელებული 4 მოჭადრაკე მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ვაჟთა II საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ზაფხულში უნდა გაიმართოს.

სატურნირო ცხრილში მომდევნო ადგილებზე არიან: თ. ლომაია, ე. უბილავა (11,5-11,5), ს. ჩეჩელიანი (10), ი. ჩიქოვანი (9,5), ა. რაზოვსკი (9), ნ. ალექსანდრია (8), ა. ბოკუჩავა (7,5), ლ. კერნოჟიცკი (6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია), ვ. დავითაშვილი, ა. ჩხაიძე (6-6), გ. მუკნიაშვილი (5,5), მ. ჩაგუნავა (3,5), ა. გვენცაძე (3), ვ. თოხაძე (1,5).

# კაცი, რომელიც დიდ...



ტ. პეტროსიანი.

იგი 29 წლისაა და შესახედავად, მეტს არც მისცემ.

დიდი ხანი როდია, რაც კრივში ცადა ძალა. ისე, უბრალოდ, ჯანის გასამაგრებლად, თორემ საქმე ზერელე სპარინგებს იქით არც წასულა.

სპორტში თავდავიწყება იცის. ნავარჯიშევი სხეული და მსუბუქი, დახვეწილი მოძრაობა აზარტს უნარსაც მატებს — იგი კარგი მხტომელია, ჩინებულად დარბის, ცურავს და ჭადრაკს თამაშობს. კაცმა რომ თქვას, ამით უნდა დაგვეწყო, ვინაიდან სწორედ ჭადრაკმა გაუთქვა სახელი, — ეს ახალგაზრდა ბორის სპასკია.

ამ რამდენიმე წლის უკან ლენინგრად-მოსკოვის მატარებელში სპასკი და ერთი მისი შემთხვევითი თანამგზავრი ჭადრაკს ჩაუჯდნენ. პირველი პარტია რომ დაამთავრეს, თანამგზავრმა მოულოდნელად განუცხადა:

— არა გიშავთ რა, ჭაბუკო, კარგად თამაშობთ.

მეორე პარტიის შემდეგ:

— იგრძნობა, რომ კარგი სკოლა გაგივლიათ.

მეშვიდე პარტია რომ ითამაშეს:

— მე მგონია, თქვენ თამამად შეგიძლიათ პირველი თანრიგისთვის იბრძოლოთ.

მეოცე პარტიის შემდეგ თანამგზავრი საგონებელში ჩავარდა და ნირწამხდარმა თავის კუპეს მიაშურა. მისთვის, ოსტატობის კანდიდატისთვის, სპასკი ჯერ მხოლოდ პიონერთა სახლის აღზრდილი ახალგაზრდა მოჭადრაკე იყო და თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

დღეს სპასკი მეორე კაცია ჭადრაკის სამყაროში და ბევრი სულაც არ არის უარს, ეს თმახუჭუჭა, ქერა ახალგაზრდა მსოფლიო გვირგვინით თავდამშვენებული იხილოს.

თვითონ კი აი, რას ამბობს პეტროსიანთან მომავალი რვაკვირიანი ბრძოლის წინ:

— პრეტენდენტს მუდამ აქვს რაღაც შეღავათი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ჩემპიონს კი დიდი პასუხისმგებლობის ტვირთი აწევს მხრებზე, იგი რისკს ვერ გაწევს. ჩემპიონის ყოველი ნაბიჯი მოზომილი და ზუსტი უნდა იყოს, ვინაიდან მისი ავტორიტეტი მეტისმეტად დიდია. ჩემთვის კი ეს მხოლოდ ცდაა. შეიძლება, იგი მარცხითაც დამთავრდეს, მაგრამ გაკვირვების ნიშნად მხრებს არავინ აიჩეჩს, არც თავს გადაიქნევს ვინმე. მე პატარა კაცი ვარ და ამიტომ, თავს მშვიდად და დაჯერებულად ვგრძნობ.

იქნებ, მართლაც ასე იყოს? იქნებ, მართლაც არ „ჭრიდეს თვალს" დიდოსტატი სპასკი? არა, დიდოსტატი კი არა, უბრალოდ, ბორის სპასკი?

საბილიარდოში იგი დიდხანს, გულმოდგინედ იწმენდს ცარცით მარცხენა ხელის შუა და საჩვენებელ თითს, ძლივს გასაგონად ფშვინავს, თვალს ჭუტავს და გულდასმით უმიზნებს, მაგრამ არაფერი გამოდის, ცუდად თამაშობს, ბურთები ზედიზედ, დინჯად მიგორავენ ბილიარდის ფერდისკენ, პარტია მძიმეა და მოსაწყენი, მწვანე მაუდზე სრული სიმშვიდე სუფევს.

— დღეს თამაში რაღაც არ გამომივიდა, — ამბობს სპასკი და სიცილით ვტოვებთ საბილიარდოს.

სპასკის ოთახში ჭადრაკის საათი დგას. იქვე ფაქიზად შენახული მუყაოს ნაჭრების დასტა დევს. ერთი შეხედვით, ბანქო გეგონება, ოღონდ ესაა, ზურგის მხარეს ყველას ჭადრაკის ლურჯ-თეთრი დაფა ახატია. ეს საჭადრაკო ეტიუდებია, რომლებიც ახალგაზრდა დიდოსტატს უყვარს და ... რად იცის. იგი მოხერხებული ... დამრიგებლის სიმკვირცხლით ... მუყაოს ნაჭრებს. ცისფერი ეტიუ... შრიალებენ, ტკაცუნებენ და მეჩვ... რომ სპასკი ხელის ოდნავი შეხებ... ცნობს ყოველ მათგანს, უცდო... გრძნობს თვითეულის ღირსებას.

საუბრით კი სულ სხვა რამეზე ... უბრობთ.

საწერ მაგიდაზე ხის კაცუნას მ... ლათნია. ხელში ლუდის პაწია ბ... უჭირავს.

— ძალიან მიყვარს ეს ჯენტლ... — ღიმილით ამბობს სპასკი, — ... ვიე, როგორც თილისმას. — კორ... რობი, დანა, ბოთლი, ყველაფერი... ნამდვილ მამაკაცს შეიძლება გა... გეს... თან ... ოდ თავხედურ... მომეტყველება... ეს ხანდახან ძ... მიზიდავს.

...მოკლე ქუ... კსა და ზედ შ...

ფედერაციის პლენუმზე

# ფართოდ განვავითაროთ მასობრივი ტურიზმი

შარშანდელი სეზონის შედეგებსა და საქართველოში მასობრივი ტურიზმის შემდგომი განვითარების საკითხებს მიეძღვნა ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს II პლენუმი, რომელიც თბილისში გაიმართა.

მომხსენებელმა — ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ი. ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში ტურისტული ბაზები ერთნახევარჯერ მეტ თვითმოქმედ ტურისტს მოემსახურნენ, ვიდრე 1964 წელს და გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაანაღდეს. მასობრივ ექსკურსიებში 136 ათასამდე მუშა-მოსამსახურემ, სოფლის მეურნეობის მშრომელმა, ტურისტმა და დამსვენებელმა მიიღო მონაწილეობა.

ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის საზოგადოებრივმა მოადგილემ მ. უთმელიძემ გააკეთა მოხსენება ჩვენში თვითმოქმედი ტურიზმის განვითარების თაობაზე. მან თქვა, რომ შარშან ამ მხრივ გარკვეული მუშაობა ჩატარდა. ამჟამად საწარმო-დაწესებულებებისა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების პირველადი ორგანიზაციების 2600-ზე მეტ ტურისტულ სექციაში ათეულ ათასობით კაცია გაერთიანებული. ამას გარდა, სკოლებში ნორჩ ტურისტთა 1200 სექცია მუშაობს.

შემდეგ გაიმართა კამათი.

აფხაზეთის ტურიზმის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ხ. ტუზბაიამ აღნიშნა, რომ შარშან აფხაზეთში მილიონზე მეტმა ტურისტმა, დამსვენებელმა და ადგილობრივმა მცხოვრებმა მიიღო მონაწილეობა მასობრივ ექსკურსიებში. დიდი პოპულარობით სარგებლობს ახალი საზღვაო და სამთო-საექსკურსიო მარშრუტები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში დ. წერეთელმა თავისი სიტყვა სამთო ტურიზმის განვითარების საკითხებს მიუძღვნა. საქმის უკეთ წარმართვისთვის, — თქვა მან, — საჭიროა ტურიზმის ინსტრუქტორთა და ექსკურსმძღოლთა კადრები საგანგებო კურსებზე მომზადდეს.

„სოხუმი-სინოპის" ტურისტული ბაზის დირექტორმა გ. მეშველიანმა პლენუმის მონაწილეებს აუწყა, რომ მათი ორგანიზაცია ტურისტთა სანიმუშო მომსახურების კოლექტივის საპატიო წოდების მოსაპოვებლად იბრძვის. თვითმოქმედი ტურისტებისთვის მოაწყეს ბანაკი, რომელიც უზრუნველყოფილია საწოლი კარვებით, სასადილოთი, კულტპავილიონებით. ხშირად ტარდება ოთხ-ხუთდღიანი ტურისტული ლაშქრობები აფხაზეთის მთებში, ეწყობა ზღვაზე გასეირნება.

ქუთაისის ტურისტული კლუბის გამგეობის თავმჯდომარე გ. ყალაბეგიშვილი ტურიზმის სხვადასხვა სახეობის მასობრიობის საკითხს შეეხო. მან თქვა, რომ ქუთაისის ტურისტულ კლუბთან ნაყოფიერად მუშაობს სამდინარო და სამთო ტურიზმის ჯგუფები, 15 გამოცდილი მთამსვლელია გაერთიანებული სამთო-მაშველ ჯგუფში. მოეწყო მასობრივი თემატური საავტომობილო ტურისტული ლაშქრობები მარშრუტებით „414-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაკვალევზე" და „აკაკი წერეთლის ნაკვალევზე", შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით მზადდება ლაშქრობა მესხეთში.

პლენუმის მონაწილეებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს თბილისისა და სოხუმის საექსკურსიო ბიუროების დირექტორებმა ი. ლაფაჩიძემ და ბ. ჩიქოვანმა.

სიტყვები წარმოთქვეს ქუთაისისა და ვარძიის ტურისტული კლუბების დირექტორებმა პ. გაგოშიძემ და ნ. ნათენაძემ, აჭარის ტურიზმის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ მ. ბერძენიშვილმა, თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პედაგოგმა დ. გოზალიშვილმა, წყალტუბოსა და გურჯაანის ტურისტული კლუბების გამგეობების თავმჯდომარეებმა ო. კინწურაშვილმა და ლ. გაბელიამ.

პლენუმმა მიიღო დადგენილებები.

განიხილეს და დაამტკიცეს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს 1966 წლის სოციალისტური ვალდებულებანი. გადაწყდა, სოცშეჯიბრებაში გამოიწვიონ უკრაინის ტურიზმის საბჭო.

ტურისტული ბაზებისა და საექსკურსიო ბიუროების კოლექტივებმა ივალდებულეს წლეულს მოაწყონ მასობრივი ექსკურსიები 1.900 ათასი კაცისთვის; 3000-მდე გაზარდონ ტურისტული სექციების რაოდენობა. ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით 3000-მდე ტურისტს მოემსახურება, აიგება მონადირეთა და მეთევზეთა 4 ახალი სახლი, მომზადდება „სსრ კავშირის ტურისტის" 63 ათასი ნიშნოსანი, ტურისტულ მოგზაურობებში ჩაებმება 100.000 ბავშვი, ჩატარდება მასობრივი შეკრებები და შეჯიბრებები, საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი ტურისტული ბაზები და 2 ათასადგილიანი საძინებელი კორპუსები.

# სეზონში პირველად

●

კომკავშირის საქალაქო კომიტეტის თასზე

●

თბილისის პირად-გუნდურ პირველობაში მონაწილეობდნენ უწყებათა და სპორტულ საზოგადოებათა უძლიერესი ტანმოვარჯიშეები.

ტურნირი გახსნეს ოსტატმა ვაჟებმა. თავიდანვე დაწინაურდა გ. ბანძელაძე, მაგრამ შეჯიბრების პირველი დღის ბოლოს სურათი შეიცვალა — ლიდერობა ხელთ იგდეს ყ. ღუდუშაურმა, ი. ნინოშვილმა (ორივე — „დინამო") და ს. სხირტლაძემ („ბურევესტნიკი"). ქალებში ლიდერობდნენ ა. ჯანუყაშვილი („დინამო") და ვ. ადამაშვილი („სპარტაკი").

შეჯიბრების მეორე დღეს ყველაფერი გაირკვა. ქალთა შორის დედაქალაქის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ა. ჯანუყაშვილი. II ადგილი დაისაკუთრა ვ. ადამაშვილმა, III — ზ. იასკომ („ბურევესტნიკი").

ვაჟთა შორის დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა ს. სხირტლაძემ, რომელმაც 110.35 ქულით გაინაღდა აბსოლუტური ჩემპიონის წოდება. II ადგილი წილად ხვდა ყ. ღუდუშაურს (109,95 ქულა). მას მხოლოდ 0,05 ქულით ჩამორჩა III ადგილზე გასული ი. ნინოშვილი.

პირველთანრიგოსნებს შორის I ადგილები დაიკავეს: ვაჟებში — მ. სელიმაშვილმა („განთიადი"), ქალებში — დ. ბანძელაძემ („დინამო"). უნდა ითქვას, რომ პირველთანრიგოსნების, განსაკუთრებით ვაჟების, მომზადების დონე ძალიან დაბალი იყო (გამარჯვებულის საშუალო ქულაა 7,75).

საერთო გუნდურ ჩათვლაში კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პრიზი დაისაკუთრა „დინამოს" კოლექტივმა. თასის შარშანდელი მფლობელები — „ბურევესტნიკის" ტანმოვარჯიშეები II ადგილით დაკმაყოფილდნენ. III ადგილზეა „განთიადი".

მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო ამ სეზონის პირველი შეჯიბრება და ტანმოვარჯიშეთა უმრავლესობა ჯერ კიდევ არ არის საუკეთესო ფორმაში, ასპარეზობამ გვიჩვენა, რომ ჩვენს ბევრ მოწინავე სპორტსმენს საგრძნობლად აუმაღლებია ვარჯიშების კლასი (ს. სხირტლაძე, ი. ნინოშვილი, ყ. ღუდუშაური და სხვ.)

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ჩვენი გოგონების მიერ შესრულებული ურთულესი, ახალი ილეთები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ლ. გათენდაშვილმა („დინამო"), რომელსაც მიენიჭა ქალაქის სპორტკავშირის საგანგებო პრიზი. მაგრამ მწვრთნელებსა და ტანმოვარჯიშეებს აქვე უნდა შევახსენოთ, რომ რთული ილეთი ან ნაერთი თვითმიზანი არ გახლავთ. იგი შერწყმული უნდა იყოს მთელი ვარჯიშის დახვეწილად და ელეგანტურად შესრულებასთან.

პრიზები რთული, კომპოზიციურად კარგად შესრულებული ვარჯიშისთვის და უმაღლესი შეფასებისათვის მიენიჭა ს. სხირტლაძეს (რგოლებზე ურთულესი ვარჯიშის შეფასებაა 9,6 ქულა).

დაწესებული იყო აგრეთვე პრიზები: „საუკეთესო ტანმოვარჯიშე ქალს" და „საუკეთესო ტანმოვარჯიშე ვაჟს". ამ ჯილდოების განმსაზღვრელი ჟიურის როლში მოგვევლინენ მაყურებლები. და აი, მათი სიმპათიები დაიმსახურეს ა. ჯანუყაშვილმა და ყ. ღუდუშაურმა.

შეჯიბრება ჩატარდა მაღალ დონეზე, რაც მთავარი მსაჯის ს. აღნიაშვილის და მისი მოადგილეების მ. ზვიადაძისა და ა. ფარულავას უდავო დამსახურებაა.

**ო. ქორქია,**
**სპორტის ოსტატი.**

## მეორე კაცი ჭადრაკის სამყაროში
●
## 63 ათასი ნიშნოსანი
●
## პრიზებს ანიჭებენ მაყურებლები



თბილისის უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპისა და ლიტერატურის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ნელი სალაძე უკვე კარგა ხანია სამართლიანად ითვლება ჩვენი რესპუბლიკის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად. ეს მან ამას წინათაც დაამტკიცა — მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის სახელი.

სურათზე: საპატიო სპორტის ოსტატი ნ. სალაძე შეჯიბრების დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## [illegible]

### ✦ ქუთაისი

აქ დამთავრდა მოსწავლეთა XVIII საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში (ჭაბუკები) და ტყვიის სროლაში. მაგიდის ჩოგბურთელ გოგონებში ყველას აჯობეს მე-3 სკოლის მოსწავლეებმა, ჭაბუკებში კი I ადგილი მოიპოვეს მე-4 სკოლის სპორტსმენებმა. ფრენბურთში საუკეთესო იყო მე-14 სკოლის გუნდი, ხოლო ტყვიის სროლაში — მე-10 სკოლის წარმომადგენლები.

**შ. ნოზაძე.**

### ✦ ბათუმი

გაიმართა აჭაური და როსტოველი მოსწავლეების ამხანაგური შეხვედრა მაგიდის ჩოგბურთში. პირველ დღეს მასპინძელი გოგონებისა და ჭაბუკების ნაკრებმა გუნდებმა ერთნაირი ანგარიშით (3:1) დაამარცხეს სტუმრები. მეორე დღეს გაიმართა პირადი პირველობა, რომელშიც 12-12 გოგონა და ჭაბუკი მონაწილეობდა. გოგონათა ფინალში გავიდნენ ბათუმელი გ. პევზნერი და როსტოველი ს. გარეტინინა. გაიმარჯვა პევზნერმა — 21:10, 21:12. ჭაბუკთა შორის სამივე საპრიზო ადგილი მასპინძლებმა დაიკავეს. ყველას აჯობა ო. კაპლანიანმა.

**ო. მურვანიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლისთვის ემზადება

ზე ჩამოფხატულ მოთხილამურის ქუდში სპასკი პირველკურსელს ჰგავს. მოდის, ლაღად მოიქნევს ჩანთას, რომელშიც საცურაო კოსტუმი და პირსახოცი უდევს, ფეხით ქვას მოათამაშებს და მხიარულს უსტვენს რაღაცას.

როცა 29 წლისა ხარ, კარგი ამინდი მეტისმეტად კარგი გეჩვენება, ცუდი კი გუნებას ვერ გიფუჭებს. ახლა ბორისი ბარში მიდის ლუდის დასალევად. რა ჯობს კათხა ლუდს საცურაო აუზის მერე?

ბარში სპასკი ერთბაშად დინჯდება. არ ჩქარობს, ლაპარაკობს ჭადრაკზე. ჭადრაკი ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. კაპაბლანკა, ალიოხინი... საოცარი რიდით ლაპარაკობს მათზე. მორფის, სტეინიცის, კაპაბლანკას, ლასკერის, ალიოხინის პარტიები მისთვის საყვარელ წიგნებს ჰგავს, რომელთაც ფურცლავ, ხელმეორედ უბრუნდები, მუდამ თან ატარებ და არასოდეს გწყინდება. სპასკის ქება არ ენანება მათთვის, ვინც, მისი აზრით, ამას იმსახურებს.

ერთი-ორი სიტყვა და მე უკვე თვალნათლივ წარმოვიდგენ ისეთ სხვადასხვა სტილის მოჭადრაკეებს, როგორიც არიან ბოტვინიკი და ფიშერი, ტალი და ბრონშტეინი, გელერი და სმისლოვი.

ჭადრაკი ნებას არ აძლევს სპასკის, გულგრილი დარჩეს.

ასფალტზე, ზედ გზის პირზე სიგრძეზე ხტომაში ვეჯიბრებით ერთმანეთს. უცებ ვერც კი ვხვდები, რომ ანკესს წამოვეგე. სპასკი შესანიშნავი მხტომელია, იგი თანდათან უმატებს მანძილს და ბოლოს აშკარა კმაყოფილებით აცხადებს თავს ჩემპიონად.

— ხანდახან წარმოვიდგენ, რომ ჭადრაკს გამოვეთხოვე. რას იტყვი, ხომ მაცდური აზრია? თვალს დავხუჭავ და ნათლად ვხედავ, რა დინჯად, მშვიდად ვცხოვრობ. თითქოს გადაწყდა, მაგრამ ხელს რომ წინ გავიწვდი, სიცარიელეს ვგრძნობ. არ შემიძლია უჭადრაკოდ. 20 წელი საკმაო დროა და ჩვენც ერთმანეთს შევესისხლხორცეთ. ბევრჯერ დამიჭერია თავი, რომ იატაკის კუბოკრულ ლინოლეუმზე საკუთარი ნაბიჯების ვარიანტებს ვითვლი. მაშინ ხელს ჩავიქნევ და ხტომაში სავარჯიშოდ მივდივარ.

შეიძლებოდა გვეცადა და კვალდაკვალ მივყოლოდით მოჭადრაკე სპასკის ბიოგრაფიას. შეიძლებოდა ჩამოგვეთვალა ბევრი მისი მოგებული ტურნირი, ბევრი ბრწყინვალედ ჩატარებული პარტია. მაგრამ ჭადრაკი ხომ თავად ზედმიწევნით ზუსტად აჯამებს ყველაფერს, ამ გამარჯვებასაც, ამ ლამაზ პარტიებსაც და, სხვათა შორის, მარცხსაც, ყველაზე გულსატკენ წაგებასაც კი.

თითო ნათამაშევი პარტია თითო ახალი დეტალია მოჭადრაკის პორტრეტისა. ჩაუფიქრდი, მოხერხებულად, ზუსტად აასხი და მათ მიღმა ცოცხალ ადამიანს დაინახავ. დაინახავ და გაუგებ.

დიდოსტატმა მითხრა:

— რა საჭიროა ლაპარაკი იმაზე, რაც უკვე მოხდა? აი, ის რომ გაგვაგებინა, რა იქნება ხვალ...

მაშ ასე. დღეს ბორის სპასკი დიდი ბრძოლისთვის ემზადება. მან საკმაოდ რთული გზა გაიარა, ვიდრე ამ ბოლო, ყველაზე ძნელ გამოცდამდე მოვიდოდა. მაგრამ თუნდაც მხოლოდ ის, რომ მოვიდა, უკვე მის დიდ ნიჭსა და უნარზე ღაღადებს.

დაჯაბნის თუ არა პრეტენდენტი ჩემპიონს? — აი, კითხვა, რომელსაც დღეს ვერავინ უგულებელყოფს. და ესეც მეტყველებს სპასკის ძალაზე.

როცა ბორისს ვთხოვე ეთქვა რამდენიმე სიტყვა მომავალი მატჩის თაობაზე, მან დაკვირვებით შემომხედა და დინჯად მიპასუხა:

— მინდა ოცდაოთხივე პარტია ვითამაშო და კარგადაც ვითამაშო. მოგებაზე არ ვლაპარაკობ, თუმცა, რაღა თქმა უნდა, უარს არ ვიტყოდი. მე ვფიქრობ კარგ თამაშზე, ლამაზ პარტიებზე, შემოქმედებაზე. ჩემთვის და, ალბათ, ყველა მოჭადრაკისთვის, სწორედ ამაშია თამაშის მთელი ეშხი. მინდა გულშემატკივრები ცოცხალი და საინტერესო ორთაბრძოლის მოწმენი გახდნენ.

ეს სპასკიმ პირველ აპრილს თქვა.

ამბობენ, პირველ აპრილს ნათქვამ სიტყვას არ დაეჯერებაო. მაგრამ, ვითომ ვირწმუნოთ ეს ახლა, როცა მსოფლიო გვირგვინისთვის ბრძოლის დაწყებამდე ერთი დღეღა დარჩა?

ა. მარიამოვი.



ბ. სპასკი.

# დღეს.

„პახტაკორი"—„ტორპედო" (მოსკოვი), „დინამო" (კიევი) — „ზენიტი", „კაირატი" — ცსკა, „ნეფტიანიკი" — „დინამო" (მინსკი), „არარატი" — „კრილია სოვეტოვი", „ჩერნომორეცი" — „ლოკომოტივი", „ტორპედო" (ქუთაისი) — „სპარტაკი", „დინამო" (თბილისი)—„დინამო" (მოსკოვი), „შახტიორი" — ასკ (როსტოვი).



# სიტყვას ვაძლევთ გულშემატკივრებს!

ოთხნი სტადიონის ტრიბუნებიდან. სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა პროფესიისა....

ოთხნი... ერთი და იმავე სპორტული „სარწმუნოებისა" — საფეხბურთოსი!

ჩვენი კორესპონდენტი ო. ნოზაძე მათ სეზონის გახსნის წინ შეხვდა. საინტერესო მოსაუბრენი გამოდგნენ. რაც მთავარია, ოთხივეს თავგანწირვით უყვარს ფეხბურთი, იცის მისი ყადრი, მისი ყოველი ნიუანსი...

მაგრამ, მოდით ეს თქვენ თავად განსაჯეთ. ბოლოს და ბოლოს, ილფის და პეტროვისა არ იყოს, „გულშემატკივართა რანგის დადგენა თვით გულშემატკივართა საქმეა!".

## ისიდორე გაგუა,

სტომატოლოგიის პროფესორი.

— ძველთაგანვე უთქვამთ: ამ ქვეყნად ყველაზე მწარე კბილის ტკივილიაო! ეტყობა, ჩვენს წინაპრებს არა ჰქონიათ წარმოდგენა ფეხბურთზე, თორემ...

აბა, რომელი კბილის ტკივილი შეედრება იმას, როცა შენი საყვარელი გუნდი აგებს.

გამოგიტყდებით, ერთი-ორჯერ გავიფიქრე კიდეც: ნეტავ ახლა... 1910 წლის ფორმაში ვიყო-თქო. მაშინდელი „სოკოლის" ცენტრალური თავდამსხმელი ცოტას წავეხმარებოდი ჩვენს ბიჭებს...

ახლა კი, მხოლოდ გულშემატკივრობა თუ შემიძლია:

— აბა, თქვენ იცით, ბიჭებო!

## შალვა ჩხიკვაძე,

საქართველოს ფილარმონიის სოლისტი,

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

...მომხდარა, რომ ჩვენი „დინამოს" დამარცხების შემდეგ სტადიონიდან პირდაპირ კონცერტზე მოვსულვარ ფილარმონიაში.

რა ხმაზე ვიმღერებდი მაშინ, კარგად მოგეხსენებათ. დაუმატეთ ამას ენაკვიმატი კონფერანსიე თავისი ცხელ-ცხელი, „აქტუალური" ტექსტით დამარცხებულთა მიმართ.

ღმერთო! (და დინამოელებო!) ნუ მისცემ „საბაბს" ესტრადის მსახიობებს აუგად მოიხსენიონ ჩვენი „ექს-ოქრობიჭები".

## ივანე კალაიჩევი,

კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის ზეინკალი.

ჩემი ცხოვრების საუკეთესო წუთები სტადიონის ტრიბუნებზე მაქვს გატარებული.

მართლაც, რა შეედრება ტყავის ბურთის რომანტიკას, საყვარელი ფეხბურთელების ხილვას.

ნეტავ, წლეულს კვლავ გამეორდეს 1964 წლის შემოდგომა და... თანახმა ვარ „ოქროს" ჩამოსატანად ჩვენს ბიჭებს გავყვე სადაც გნებავთ: ტაშკენტში, ფრანციოსების მიწასა თუ თვით მთვარეზე.

## გოგი ფანცხავა,

თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის

განყოფილების V კურსის სტუდენტი.

— ფეხბურთი?.. კი, ბატონო! ამაზე შემიძლია დილიდან ღამემდე ვილაპარაკო!

აი, სულ სხვა საქმეა დიპლომი... ნუ გამახსენებთ: დაცვა ივნისისთვისაა დანიშნული, მე კი 10 აპრილის „ამბები" უფრო მაღელვებს...

ფეხბურთის ბილეთი — „საკითხავი აი, ეს არის". ნუ გაიცინებთ, მაგრამ ჩემთვის იგი, ჰამლეტისა არ იყოს, მართლაც, „ყოფნა-არ ყოფნას" ნიშნავს...

ჰო, მართლა, ერთი „ზედმეტი" ხომ არ გექნებათ?..

# იუბილეები, თარიღები...

ცალკეულ ფეხბურთელთა თუ გუნდების ღირსსახსოვარი თარიღები, რეკორდები და თავისებური იუბილეები მნიშვნელოვნად აღვივებენ ინტერესს საკავშირო ჩემპიონატის მატჩებისადმი და მაყურებელთა თავისებურ ხარკს წარმოადგენენ იმ ოსტატთა მიმართ, რომლებიც მათ უძღვნიან თავიანთ სპორტულ ტალანტს, მაღალ ხელოვნებას, ტემპერამენტს და ერთგულებას.

რა გველის ახალ სეზონში, რა იუბილეებია მოსალოდნელი წლეულს მწვანე მინდვრებზე, რა რეკორდები განახლდება და რომლები დარჩება უცვლელი?

რეკორდიც და იუბილეც არის ორგვარი: გუნდური და პერსონალური. გუნდური იუბილე წელს ბევრი არ იქნება. „ა" კლასში მე-500 მატჩს ჩაატარებს დონეცკის „შახტიორი", ასეთივე იუბილე შემოდგომით ელის კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს".

პრეტენდენტები მე-1000 გოლის გატანაზე ამ სეზონში არ არიან. როგორც ცნობილია, მე-1000 გოლის ზღვარი გადაბიჯებული აქვთ მოსკოვის „დინამოს", ცსკა-ს, „სპარტაკს", მოსკოვის „ტორპედოს", თბილისის „დინამოსა" და კიევის „დინამოს". სხვანი ჯერ კიდევ შორს არიან ამ ციფრიდან. შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ ლენინგრადის „ზენიტს" ახლანდელი ჩემპიონატის დაწყებისთვის გაშვებული აქვს 953 ბურთი და „ა" კლასის გუნდებში პირველი უახლოვდება სამწუხარო „იუბილეს" — საკუთარ კარში მე-1000 ბურთის გაშვებას. თუმცა, ეს იუბილე ალბათ შედგება არა წლეულს, არამედ გაისად.

ვერ მივიღებთ წელს ახალ „მესამასეებსაც". საბჭოთა ფეხბურთში დღეისათვის არის მხოლოდ 4 ფეხბურთელი, რომლებსაც ნათამაშევი აქვთ 300 და მეტი მატჩი: ი. ნეტო (363), ა. ღოღობერიძე (341), ს. სალნიკოვი (333) და გ. ვოროშილოვი (303). მათ რიცხვს შეუერთდებოდა მოსკოვის „ტორპედოს" კაპიტანი ვ. ივანოვი, რომელსაც დღემდე ნათამაშევი აქვს 276 მატჩი, მაგრამ იგი, ალბათ, დაკავებული იქნება ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდში და ამ სეზონში იუბილეს ვერ მიაღწევს.

250-ე მატჩს ითამაშებენ ლ. იაშინი („დინამო", მოსკოვი), ს. ზავიდონოვი („ზენიტი"), ვ. შუსტიკოვი („ტორპედო", მოსკოვი) და ა. კრუტიკოვი („სპარტაკი"). თუმცა ამ ორი უკანასკნელისთვის ეს არც ისე იოლი იქნება, ვინაიდან თვითეულ მათგანს ჩატარებული აქვს 217 თამაში.

მე-200 მატჩს უახლოვდებიან ზენიტელი ა. დერგაჩოვი (197), მოსკოვის დინამოელი ი. ჩისლენკო (189), კიეველი ა. ბიბა (188) და ზოგიერთი სხვა.

100 გოლის გატანა ჩემპიონატის მატჩებში დიდ დამსახურებად ითვლება. ოდესის „ჩერნომორეცის" ფორვარდს ვ. კანევსკის ჯერჯერობით გატანილი აქვს 86 ბურთი, გ. გუსაროვს („დინამო", მოსკოვი) — 81, ო. კოპაევს (ასკ, როსტოვი) — 75, გ. კრასნიცკის („პახტაკორი") — 70.

შეძლებენ ისინი მე-100 გოლის გატანას? ჩვენ, მაყურებლებსაც ეს გვინდა!

კ. ესენინი,

ფეხბურთის სტატისტიკოსი.

მოსკოვი.

## გუშინ...

### დუბლიორთა მატჩები

ქუთაისში...

ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო" და მოსკოვის „სპარტაკი".

თამაში დამთავრდა სტუმარი დუბლიორების გამარჯვებით — 2:1.

თბილისში...

„ბურევესტნიკის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და მოსკოვის „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობანი.

მატჩის ანგარიშია 1:1.

| №№ | გუნდები | 1936 გაზ. | 1936 შემ. | 1937 | 1938 | 1939 | 1940 | 1945 | 1946 | 1947 | 1948 | 1949 | 1950 | 1951 | 1952 | 1953 | 1954 | 1955 | 1956 | 1957 | 1958 | 1959 | 1960 | 1961 | 1962 | 1963 | 1964 | 1965 | [illegible] I | II | III | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | „ტორპედო" მ. | — | — | — | 9 | 9 | 11 | 3 | 4 | 5 | 5 | 4 | 10 | 12 | 10 | 3 | 9 | 4 | 5 | 2 | 7 | 5 | 1 | 2 | 1 | 10 | 2 | 1 | 2 | 1 | 2 | 7 |
| 2 | „დინამო" კ. | 2 | 6 | 3 | 4 | 8 | 8 | 11 | 12 | 4 | 10 | 7 | 13 | 8 | 2 | 8 | 5 | 6 | 4 | 6 | 6 | 7 | 2 | 1 | 5 | 9 | 6 | 2 | 1 | 4 | 1 | 6 |
| 3 | ცსკა | 4 | 8 | 9 | 2 | 3 | 4 | 2 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | — | — | 6 | 3 | 3 | 5 | 3 | 9 | 6 | 4 | 4 | 7 | 3 | 3 | 5 | 3 | 6 | 14 |
| 4 | „დინამო" მნ. | — | — | — | — | — | — | 9 | 11 | 12 | 12 | 15 | 17 | — | 14 | — | 3 | 12 | — | 12 | — | — | 11 | 19 | 19 | 3 | 9 | 4 | | — | 2 | 2 |
| 5 | „დინამო" მ. | 1 | 2 | 1 | 5 | 7 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 1 | 2 | 5 | 3 | 4 | 1 | 1 | 2 | 1 | 2 | 1 | 3 | 13 | 2 | 1 | 7 | 5 | 10 | 8 | 2 | 20 |
| 6 | „დინამო" თბ. | — | 3 | 4 | 6 | 2 | 2 | 4 | 3 | 3 | 4 | 6 | 3 | 2 | 4 | 2 | 8 | 9 | 8 | 7 | 9 | 3 | 8 | 7 | 3 | 5 | 1 | 6 | 1 | 4 | 6 | 11 |
| 7 | ასკა | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 4 | 4 | 9 | 9 | 4 | 4 | 7 | — | — | — | — |
| 8 | „სპარტაკი" | 3 | 1 | 2 | 1 | 1 | 3 | 10 | 6 | 8 | 3 | 3 | 5 | 6 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | 3 | 1 | 6 | 7 | 3 | 1 | 2 | 8 | 8 | 8 | 4 | 6 | 18 |
| 9 | „ზენიტი" | — | — | — | 14 | 11 | 10 | 6 | 9 | 6 | 13 | 3 | 6 | 7 | 7 | 5 | 7 | 8 | 9 | 10 | 4 | 8 | 15 | 13 | 11 | 6 | 11 | 9 | — | — | — | — |
| 10 | „პახტაკორი" | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 14 | 10 | 6 | 20 | — | 10 | — | — | — | — |
| 11 | „ნეფტიანიკი" | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 14 | 19 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 21 | 18 | 10 | 8 | 12 | 11 | — | — | — | — |
| 12 | „შახტიორი" | — | — | — | 11 | 12 | 12 | — | — | — | — | 18 | 11 | 3 | 13 | — | — | 7 | 7 | 8 | 8 | 12 | 17 | 12 | 8 | 11 | 5 | 12 | — | — | 1 | 1 |
| 13 | „კრ. სოვეტოვი" | — | — | — | — | — | — | — | 10 | 7 | 11 | 10 | 7 | 4 | 8 | 7 | 11 | 11 | — | 11 | 10 | 11 | 16 | — | 17 | 15 | 10 | 13 | — | — | — | — |
| 14 | „ჩერნომორეცი" | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 14 | — | — | — | — |
| 15 | „ლოკომოტივი" | 5 | 4 | 6 | 8 | 5 | 6 | 12 | — | — | 7 | 11 | 15 | — | 9 | 6 | 10 | 5 | 10 | 4 | 5 | 2 | 5 | 5 | 13 | 15 | — | 15 | — | 1 | — | 1 |
| 16 | „ტორპედო" ქ. | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 15 | 12 | 13 | 16 | — | — | — | — |
| 17 | ასკ ოდ. | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 17 | — | — | — | — |
| 18 | „არარატი" | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 16 | 14 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 9 | 8 | 18 | 18 | — | — | — | — | — | — |
| 19 | „კაირატი" | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 18 | 17 | 20 | 11 | 15 | — | — | — | — | — |

სსრ კავშირის ჩემპიონატები, გუნდები, ადგილები...

# სტარტის წინ

ბათუმი, 8 აპრილი (ჩვენი კორ.). როგორც სპორტის მოყვარულთათვის ცნობილია, წლეულს ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი გამოვა „ა" კლასის მეორე ეშელონში. ამ დიდი შეჯიბრების წინ აჭარის ფეხბურთის ფედერაციამ და ქალაქის ახალგაზრდობამ შეხვედრა მოუწყეს დინამოელთა კოლექტივს.

ხალხური შემოქმედების სახლის თეატრში, სადაც ეს შეხვედრა გაიმართა, პიონერებმა ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს დინამოელებს.

შეხვედრა გახსნა აჭარის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ლ. ხვიჩიამ. „დინამოს" უფროსმა მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. რამიშვილმა დამსწრეებს უამბო, თუ როგორ მოემზადა „ა" კლასის დებიუტანტი წლევანდელი ჩემპიონატისთვის.

სიტყვებით გამოვიდნენ პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, დოცენტი კ. დოლიძე, გემსაშენი ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორი ა. ხომერიკი, ნ. ჯიჯავაძე (ბავშვთა ფეხბურთის სკოლა), ვეტერანი ფეხბურთელი ვ. კალოიანი და სხვ. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა „დინამოს" გუნდის კაპიტანმა ვ. ჯოხაძემ.

შეხვედრის დასასრულს მანქანათსაშენი ქარხნის თვითმოქმედმა კოლექტივმა კონცერტი გამართა.

ფეხბურთი

# ფინა ხაზზე...

დასასრულს უახლოვდება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ფეხბურთში. 13 აპრილს გაიმართება პირველი ნახევარფინალური მატჩები.

როგორც ცნობილია, ტურნირის ბოლოსწინა ეტაპის მონაწილენი არიან „ინტერნაციონალე" (იტალია), „მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი), „რეალ-მადრიდი" (ესპანეთი) და „პარტიზანი" (იუგოსლავია). ვბეჭდავთ მოკლე ცნობებს ამ გუნდების შესახებ.

## „ინტერი"—რკინისებური დისციპლინის გუნდი

როცა „ინტერის" ამასწინანდელმა მეტოქემ ჩემპიონთა თასზე — უნგრეთის „ფერენცვაროშმა" თამაშის შემდეგ იტალიელებს ბანკეტი მოუწყო, მასპინძელთა გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა: ბანკეტს მხოლოდ მწვრთნელი ე. ერერა და გუნდის ხელმძღვანელობა ეწვია. არ ჩანდა არც ერთი ფეხბურთელი.

— ჩემს მოთამაშეებს უკვე ძინავთ, — თქვა მწვრთნელმა.

რკინისებური დისციპლინა — აი, ერერას ძირითადი პრინციპი. საკმარისია რომელიმე ფეხბურთელმა ზედმეტი „თავისებურება" მოინდომოს, იგი დაუყოვნებლივ ისჯება. ერერამ დაატოვებინა გუნდი შესანიშნავ მოთამაშეებს ანჯელილოს, ფირმანის, ჰიტჩენსს, მილანის. როცა მისმა საყვარელმა თავდამსხმელმა მაცოლამ ამას წინათ ვარჯიშზე დააგვიანა, იგი 3 მატჩით დასვეს სათადარიგოთა სკამზე

— ფეხბურთელმა 30 წლამდე არ უნდა იქორწინოს, — ამბობს ერერა.

აი, როგორ გამოიხატება „ინტერის" ტაქტიკა, ე. წ. „კატენაჩიო". მეკარე სარტის სიახლოვეს მოქმედებს სპეციალური „მწმენდელი" (პიკი ან მალატრაზი), რომელიც ზურგში უდგას ოთხ მცველს (ბურგნიჩი, გუარნერი, ბედინი, ფაკეტი). მცველების დასახმარებლად ხშირად უკან იხევენ სუარესი და კორსო. მხოლოდ 3 თავდამსხმელია განთავისუფლებული დაცვითი ფუნქციებისგან. ერთი მათგანი ტიპიური მარჯვენა გარემარბია (ჟაირი), ორიც — ცენტრალური თავდამსხმელი (მაცოლა და პეირო). სამივე მათგანის შეცვლა შეუძლია დომენგინის, რომელიც თანაბარი წარმატებით თამაშობს როგორც გარემარბად, ისე შუამარბად.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი „ინტერი" მიმომხილველებს მიაჩნიათ ახლანდელი გათამაშების ძირითად ფავორიტად.

## განახლებული „რეალი"

ბოლო სეზონის მანძილზე „რეალის" შემადგენლობაში დიდი ცვლილებები მოხდა. მწვრთნელმა მუნოზმა შესამჩნევად გააახალგაზრდავა კოლექტივი. სანტამარია და პუშკაში ახლა სათადარიგო შემადგენლობაში თამაშობენ, ვეტერანებიდან პოზიციებს მხოლოდ რუიზი და ჰენტო ინარჩუნებენ.

მეკარე ბეტანკური საუცხოო ფორმაშია. დაცვაში თამაშობენ მიერა, სანჩისი და პაჩინი. ესპანური ფეხბურთის „ამომავალ ვარსკვლავად" ითვლება ცენტრალური მცველი, 21 წლის დე ფილიპე, რომელმაც შეცვალა სანტამარია.

ნახევარდაცვაში გამოდიან მარტინესი, ზოკო, პირი და რუიზი. მათ შორის უძლიერესად ითვლება ზოკო, რომელიც უცვლელად თამაშობს როგორც „რეალში", ისე ნაკრებშიც. მეორე ნახევარმცველს კი მუნოზი ხშირად ცვლის

გუნდის უძლიერეს რგოლად ითვლება თავდასხმა. ყოფილი მცველი სერენა ახლა სისტემატურად თამაშობს მარჯვენა გარემარბად და ესპანეთში ამ პოსტზე მხოლოდ უფარტეს (მადრიდის „ატლეტიკო") თუ ჩამოუვარდება. ამანსიო ახლა ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშობს 21 წლის გროსოსთან წყვილში. გამთამაშებლის ფუნქციებს ასრულებს ახალგაზრდა პარაგვაელი ველასკესი. 33 წლის ჰენტო კი აგვირგვინებს თავდამსხმელთა ამ განახლებულ ანსამბლს.

როგორც ყოველთვის, მუნოზი ძირითად იმედს ამყარებს საკუთარ მინდორზე, სადაც „რეალი" საუცხოოდ თამაშობს. ჩემპიონთა თასის 11 გათამაშების მანძილზე „რეალმა" თავის სტადიონზე ჩაატარა 32 მატჩი და მიაღწია განსაცვიფრებელ შედეგებს: 29 შეხვედრა მოიგო, 2 ფრედ დაამთავრა და მხოლოდ 1 წააგო (1962 წელს „იუვენტუსთან"). ამ მატჩებში „რეალმა" გაიტანა 135 გოლი.

## „პარტიზანის" დევიზია შეტევა

„პარტიზანის" გასვლა ნახევარფინალში ჩემპიონთა თასის ახლანდელი გათამაშების ყველაზე დიდ სენსაციად ითვლება. მას შემდეგ, რაც ამ გუნდმა თითქოს ყოველგვარი იმედი დაკარგა პრაღაში „სპარტასთან" (1:4), მოხდა წარმოუდგენელი რამ — ბელგრადში მასპინძლებმა პირდაპირ შემუსრეს მეტოქე — 5 0!

ეს ანგარიში თავისთავად მეტყველებს იუგოსლავიის ჩემპიონის დიდ შეტევით პოტენციალზე. თავდამსხმელები ჰასანაგიჩი, კოვაჩევიჩი, გალიჩი, მილადინოვიჩი და პირმაიერი ნამდვილი ოსტატები არიან. მ. გალიჩი თავდასხმის საუცხოო დირიჟორია და, საერთოდ, მოწინავე მოთამაშეა.

„პარტიზანის" მეკარე შოშკიჩი საერთაშორისო კლასის ოსტატად ითვლება, თუმცა ახლა იგი რამდენადმე უარესად თამაშობს. საქმე ისაა, რომ შარშან შოშკიჩი „პარტიზანსა" და ეროვნულ ნაკრებს გამოეთხოვა — არმიაში გაიწვიეს. ერთი წლის მანძილზე სერიოზული პრაქტიკიდან მოწყვეტამ, ცხადია, გარკვეული დაღი დაასვა მის თამაშს.

დაცვით ხაზებში თამაშობენ იუსუფი, რაშოვიჩი, დავიდოვიჩი, მიხაილოვიჩი და ვასოვიჩი. იუსუფი გამოირჩევა თამაშის მკვეთრი მანერით. იგი ერთ-ერთი საუკეთესო მცველია ევროპაში, თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულებასთან ერთად შეტევაც ეხერხება. მისი ახალგაზრდა პარტნიორი დავიდოვიჩი იუგოსლაველ მიმომხილველებს დიდი მომავლის ფეხბურთელად მიაჩნიათ. ნაკრებში არაერთხელ გამოსულა გამოცდილი ვასოვიჩი. იგი დიდი დიაპაზონის მოთამაშეა, კარგად ასრულებს შემტევი ნახევარმცველის ფუნქციებს, მაგრამ ამავე დროს გამოდის ცენტრალურ მცველადაც.

— ყველაფერს გადაწყვეტს მატჩი მანჩესტერში, — აცხადებს მწვრთნელი ა. გეგიჩი. მას მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ თავის მინდორზე „პარტიზანი" მუდამ გაცილებით უკეთესად გამოდის, ვიდრე გასვლით მატჩებში. იუგოსლაველი მიმომხილველები მიუთითებენ, რომ ინგლისელებს ყოველთვის უჭირდათ მათთან თამაში და ამ მხრივ არც „მანჩესტერ იუნაიტედი" უნდა გამოდგეს გამონაკლისი.

## მკვდრეთით აღმდგარი „მანჩესტერ იუნაიტედი"

5 წელი დაჭირდა განთქმულ შოტლანდიელ სპეციალისტს მ. ბასბის, რათა საჰაერო კატასტროფის შემდეგ მკვდრეთით აღედგინა „მანჩესტერ იუნაიტედი". ისევე, როგორც 1958 წელს, ეს გუნდი ახლაც ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება ევროპაში. ზოგი ინგლისელი მიმომხილველი იმასაც კი წერს, რომ ამჟამად „მანჩესტერ იუნაიტედი" თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებზე უფრო ძლიერია.

„მანჩესტერ იუნაიტედის" კარს იცავს გრეგი. რომელიც 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ სამყაროს იდეალურ ნაკრებში იქნა შეყვანილი. წლებმა თავისი დაღი დაასვეს ვეტერანის თამაშს. „ბენფიკასთან" პირველი მატჩის დროს გრეგმა გაუშვა 2 იოლი ბურთი და კინაღამ წყალში გადაყარა ყველაფერი. სამაგიეროდ, ლისაბონში მან კვლავ ძველებურად ითამაშა.

მცველებად გამოდიან ბრენანი, სტაილსი, ფოულკესი და დანი, ნახევარდაცვაში — კრირენდი და რ. ჩარლტონი. ეს უკანასკნელი ერთ დროს მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს მარცხენა გარემარბად ითვლებოდა, ახლა კი წარმატებით გამოდის გამთამაშებლის ამპლუაში.

ჰერდი მაქსიმალურადაა მიახლოებული მეტოქეთა კართან. ესაა ენერგიული, აგრესიული თავდამსხმელი, გუნდის მთავარი სნაიპერი. ლოუ ბევრს თამაშობს მინდვრის ცენტრში და კარსაც სახიფათოდ უტევს. ბესტსა და კონელის მიმომხილველები უწოდებენ „დემონური ძალის" გარემარბებს. საერთოდ „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდასხმა ბრწყინვალე ანსამბლად ითვლება.

რა აკლია „მანჩესტერ იუნაიტედს"? ბასბი ეძებს მაღალი კლასის ნახევარმცველს, რომელიც ჩარლტონთან წყვილში გამოვიდოდა. მას აკლია ფაკეტის ყაიდის მცველიც, რომელიც თავისი ძირითადი ფუნქციების შესრულებასთან ერთად ეპიზოდურად შეტევებშიც ჩაერთვებოდა.

ერერასგან განსხვავებით, მ. ბასბი მკაცრ ზომებს არ მიმართავს ფეხბურთელთა მიმართ. იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს თავის მოთამაშეებში. ასეთ დამსახურებულ მწვრთნელთან კორექტულად იქცევა დ. ლოუც კი, რომელსაც ბრიტანული ფეხბურთის ყველაზე უდისციპლინო წარმომადგენლის სახელი აქვს.

ფეხბურთი



## მსოფლიო ჩემპიონი და თბილისელი ჭაბუკი



ევროპის ჩემპიონატში საასპარეზოდ ლონდონს გამგზავრების წინ მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატებმა ლენინგრადში საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები გამართეს იაპონელ სპორტსმენებთან. აქ განსაკუთრებით ისახელა თავი თბილისელმა ს. სარხოიანმა, რომელმაც რამდენიმე ტიტულიანი მეტოქე „იმსხვერპლა" — დაამარცხა „ამომავალი მზის ქვეყნის" ჩემპიონი ხასეგავა, მსოფლიოს მეოთხე ჩოგბურთელი ტაკახასი და იაპონიის სტუდენტთა ასპარეზობის ჩემპიონი კიტამურა.

ლენინგრადელთა დიდი მოწონება დაიმსახურა მსოფლიოს 1965 წლის ჩემპიონმა ფუკაცუმ, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ფუკაცუ, ქვემოთ — სარხოიანი.

ფოტო ლ. პოლეტაევისა.

## 15 ვაჟი და 2 ქალი

ამას წინათ ლენინგრადში გამართულმა მძლეოსანთა ზამთრის საკავშირო პირველობამ შეაჯამა სპორტსაზოგადოებებსა და რესპუბლიკებში ჩატარებული მუშაობა, გამოავლინა ჩვენი ქვეყნის ნაკრების კანდიდატები და დასახა მომავლის ამოცანები. როგორც ცნობილია, ამ შეჯიბრებას წინ უძღოდა სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების ტურნირები. მათში საქართველოს რამდენიმე მძლეოსანმა ისახელა თავი და ცენტრალური საბჭოს ნაკრებ გუნდებში ჩაირიცხა. სულ საკავშირო შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის 17 საუკეთესო მძლეოსანი (მათ შორის მხოლოდ 2 ქალი) გამოდიოდა. რომელთა უმეტესობამ კარგი შედეგები მოიპოვა.

ქალთა ასპარეზობაში გაგვახარეს ლ. ტუღუშმა და ვ. ქუთათელაძემ. ბადროს ტყორცნაში ტუღუში მხოლოდ სვერდლოვსკელ ლ. შჩერბაკოვას ჩამორჩა (თბილისელის შედეგია 48,61 მ). აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ნ. პონომარიოვა V ადგილით დაკმაყოფილდა (46,23 მ). ქუთათელაძემ 100 მეტრზე რბენაში უკან ჩამოიტოვა 10 სპორტის ოსტატი და VIII ადგილი დაიკავა — 12,1.

ჩვენი ვაჟთა წარმომადგენლობა უფრო მრავალრიცხოვანი იყო: 250 მეტრზე თარჯრბენში II საპრიზო ადგილი დაიკავა ქუთაისელმა სპორტის ოსტატმა ი. კოზელსკიმ—31,4. ამ მანძილის გარბენას თბილისელმა ჯ. სხულუხიამ 32,7 წამი მოანდომა. 300 მეტრზე რბენაში III ადგილი დაისაკუთრა თბილისელმა ტ. ბახტაძემ — 35,3. მას მხოლოდ ბ. სავჩუკმა (ლენინგრადი) — 33,9 და ი. კაშეევმა (მოსკოვი) — 35, 1 — აჯობეს. მეორე თბილისელი სპორტსმენი — ა. ანდრეევი VIII იყო (35,6).

ჩვეულ ფორმაში შედის კ. გორძემაშვილი, რომელმაც შუბი ტყორცნა 70,68 მეტრზე (IV ადგილი) და ცოტათი ჩამორჩა ტურნირში გამარჯვებულს, ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენს ი. ლუსისს. თავი გამოიჩინა მ. ოყროშიძემაც: ბირთვის კვრაში სპორტის ოსტატის ნორმას გადააჭარბა —17,41 (საქართველოს რეკორდის გამეორება). ოყროშიძე V ადგილზე გავიდა. ოსტატის შედეგი აჩვენა ი. დელა-როსამაც (15 კმ სპორტულ სიარულში — 1:09. 12).

ჩვენი სხვა მძლეოსნების შედეგები ასეთი იყო: 100 მ — ა. ბედუკაძე, ე. ლომთაძე, ა. ანდრეევი — 10,8, ს. სევასტიანოვი —10,9; ბადრო — გ გუდაშვილი — 50,92; სიმაღლე — რ. ამბარიანი — 200, ნ. საგანელიძე — 195; სამხტომი — ლ. დარახველიძე — 15,43.

საქართველოს მძლეოსნებმა ამ შეჯიბრებაში აჩვენეს 2 ოსტატის, 7 ოსტატობის კანდიდატისა და 8 პირველი თანრიგის შედეგი, ე. ი. ყველა ისინი გუნდს ჩათვლას მისცემდნენ ხალხთა სპარტაკიადაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მაჩვენებლები უფრო გაუმჯობესდება საქართველოს ქალაქების მატჩში, რომელიც ხვალ „დინამოს" სტადიონზე იწყება.

## კვლავ „ანდერლეხტი"

ბელგიის შარშანდელმა ჩემპიონმა — ბრიუსელის „ანდერლეხტმა" კვლავ გაინაღდა უძლიერესის ტიტული. ბოლო ტურში „ანდერლეხტმა" მოუგო „ფკ ლიეჟუას" — 4:0. მწვავე ბრძოლა მიმდინარეობს II ადგილისთვის. პრეტენდენტი სამია: „სენ-ტრონი", ლიეჟის „სტანდარდი" და „ბეერშოტი".

აი, როგორ გამოიყურება ლიდერთა ხუთეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი" | 26 | 70:13 | 44 |
| „სენ-ტრონი" | 25 | 37:26 | 34 |
| „სტანდარდი" | 26 | 41:20 | 34 |
| „ბეერშოტი" | 26 | 37:27 | 34 |
| „მალინუა" | 27 | 31:35 | 30 |

## შვილი ეჯიბრება მამას

**19 წლის წინათ „ფკ ტორინოს" თავდამსხმელმა ვალენტინო მაცოლამ დაამყარა რეკორდი იტალიის ყველა ჩემპიონატისთვის — გაიტანა 29 გოლი. 1949 წლის 4 მაისს ალპებში საჰაერო კატასტროფა მოხდა და ვ. მაცოლაც თავის გუნდთან ერთად დაიღუპა. ახლა მის რეკორდს მოხსნას უქადის შვილი, სანდრინო მაცოლა, რომელიც „ინტერნაციონალეს" მოწინავე ცენტრალური თავდამსხმელია.**

**ს. მაცოლას 1965-66 წლების ჩემპიონატში ჯერჯერობით გატანილი აქვს 18 ბურთი და იტალიელი მიმომხილველების აზრით, იგი გააუმჯობესებს კიდეც მამის რეკორდს.**

ფეხბურთი

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

### თბილისის სპორტული კვირა

**ფეხბურთი.** სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. „დინამოს" სტადიონი. **10 აპრილი. „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი).** ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 16 ს. „ბურევესტნიკის" სტადიონი. **12 აპრილი. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი).** ძირითადი შემადგენლობანი დასაწყისი 17 ს. 45 წ.

**მძლეოსნობა.** „დინამოს" სტადიონი. **11-12 აპრილი. სამატჩო შეხვედრა თბილისი — ბათუმი — სოხუმი — ქუთაისი — გორი — რუსთავი.** დასაწყისი 16 ს.

**მძლეოსნური კროსი.** იპოდრომი. **10 აპრილი. ორჯონიკიძის რაიონის პირველობა „პრავდის" პრიზზე.** დასაწყისი 10 ს.

**ხელბურთი.** სპორტის სასახლე. **12-14 აპრილი. საერთაშორისო ტურნირი.** მონაწილეობენ: **დანიის, სსრ კავშირის I და II, აგრეთვე საქართველოს ნაკრები გუნდები.** დასაწყისი 19 ს.

### 12 აპრილს

**საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" თბილისის ორგანიზაცია ი. ჭავჭავაძის სახელობის მედმუშაკთა კულტურის სახლის სააქტო დარბაზში (რუსთაველის პრ. № 2) აწყობს სპორტული მიმომხილველის იური ვანიატის საჯარო ლექციას თემაზე:**

**ფეხბურთი 1966 წელს.**

დასაწყისი 18 საათზე.

**ლექციის შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოფილმი ფეხბურთზე.**

**ბილეთები გაიყიდება საზოგადოება „ცოდნის" თბილისის ორგანიზაციაში (ლენინის ქ. № 85), ხოლო ლექციის დღეს — კულტსახლის სალაროში. კოლექტიური განაცხადები მიიღება ტელეფონით: 3-18-46; 3-10-53, 9-76-74.**

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01526